



საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1123

„17“ თებერვალი 2014 წ.

ბ ა ლ ა ნ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

**„მოსამართლეობის კანდიდატების შერჩევის წესის დამტკიცების შესახებ“
საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2009 წლის 9 ოქტომბრის №1/308
გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე**

1. „მოსამართლეობის კანდიდატების შერჩევის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2009 წლის 9 ოქტომბრის №1/308 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ „მოსამართლეობის კანდიდატების შერჩევის წესში“ შეტანილ იქნეს ცვლილება და მე-12 მუხლის მე-2-მე-5 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. პირველ ეტაპზე ხდება კანდიდატის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის ფორმალური მხარის შემოწმება კანონმდებლობით განსაზღვრულ პირობებთან კანდიდატის შესაბამისობის დადგენის მიზნით. იუსტიციის უმაღლესი საბჭო, როგორც წესი, აღნიშნულ საკითხს განიხილავს კანდიდატის დაუსწრებლად. იუსტიციის უმაღლესი საბჭო, საჭიროების შემთხვევაში, უფლებამოსილია მოიწვიოს კანდიდატი გასაუბრებაზე შესაბამისი განმარტების მისაღებად.

3. იუსტიციის უმაღლესი საბჭო ამტკიცებს კონკურსის პირველ ეტაპზე შერჩეულ კანდიდატთა სიას, რომელთაც ეძლევათ მეორე ეტაპზე გასვლის უფლება. სიაში შეყვანილ უნდა იქნეს ყველა ის კანდიდატი, რომლის სიაში შეყვანაზეც წინადადება წამოაყენა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ერთმა წევრმა მაინც. იმ პირს, რომელიც არ იქნება დაშვებული მეორე ეტაპზე, ეხსნება მოსამართლეობის კანდიდატის სტატუსი და წერილობით ეცნობება აღნიშნულის თაობაზე შესაბამისი საფუძვლის მითითებით.

4. მეორე ეტაპზე ხდება მოსამართლეობის კანდიდატთან გასაუბრება ამ გადაწყვეტილების მე-8-მე-10 მუხლებში მითითებული კრიტერიუმებით მათი შეფასების მიზნით. იუსტიციის უმაღლესი საბჭო კანდიდატებთან გასაუბრებას უთმობს დაახლოებით თანაბარ დროს და აძლევს მათ საბჭოს წინაშე საკუთარი თავის წარმოდგენისა და მოტივაციის დასაბუთების შესაძლებლობას. იუსტიციის უმაღლესი საბჭო უფლებამოსილია კანდიდატებთან გასაუბრება ჩაატაროს პროფესიონალი ფსიქოლოგის თანდასწრებით, რომელსაც უფლება აქვს შეკითხვები დაუსვას მოსამართლეობის კანდიდატს. ფსიქოლოგი საკუთარ მოსაზრებას მოსამართლეობის კანდიდატის შესახებ გააცნობს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრებს, ამასთან, მას არა აქვს უფლება აღნიშნული მოსაზრება გაამჟღავნოს მოსამართლეობის კანდიდატის თანდასწრებით. ფსიქოლოგის მოსაზრება იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრებისათვის სავალდებულო არ არის.

5. იუსტიციის უმაღლესი საბჭო უფლებამოსილია კანდიდატის შესწავლის მიზნით მოიძიოს მის შესახებ დახასიათება ან სხვა ინფორმაცია. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრები უფლებამოსილი არიან გაეცნონ კანდიდატის მიერ წარმოდგენილ ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციას და გაითვალისწინონ დეკლარაციაში დაფიქსირებული მონაცემები გადაწყვეტილების მიღებისას.“.

2. ეს გადაწყვეტილება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

ლევან მურუსიძე

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი

